პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 225 (5255)

1974 წ. 13 ნოემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ზამთრის სპორტული სეზონის შესახვედრად

ზამთრის სპორტული სეზონი მოახლოვდა. ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლისთვის, მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარებისთვის, სპორტულ სექციებში ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მზადყოფნას, მათს გონივრულ გამოყენებას.

სწორედ ბაზების მდგომარეობის შემოწმებასა და ზამთრის სპორტული სეზონისთვის კარგად მომზადებას ისახავს მიზნად საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის ერთობლივი დადგენილება, რომელშიც ნათქვამია:

10 დეკემბრამდე (ამ დღის ჩათვლით) ჩატარდეს რეიდი მომავალი ზამთრის სეზონისთვის სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მზადყოფნის შესამოწმებლად. რეიდის მთავარი ამოცანები ასეთია:

— არსებული სპორტული ბაზების, ნაგებობების, მოედნების დროულად კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით;

— ახალი სპორტული მოედნების, მინდვრების, განათებული სათხილამურო ტრასების მშენებლობა, სპორტნაგებობათა შორის დათვალიერება-კონკურსის ჩატარება;

— პრაქტიკული დახმარების გაწევა კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი სპორტული ბაზებისა და ნაგებობების უკეთ გამოყენების მიზნით, აუცილებელი ზომების მიღება სპორტული ინვენტარითა და აღჭურვილობით ბაზების უზრუნველსაყოფად, რათა მათი გამოყენება ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა;

— სტადიონების, აუზების, სპორტული დარბაზებისა და სხვა ნაგებობათა უფასოდ გადაცემა ბავშვებისა და მოზარდებისთვის დღის საათებში სავეცადინოდ;

— ზამთრის სახეობათა ფართო პოპულარიზაცია, მასობრივ სპორტულ ასპარეზობათა გამართვა სსრ კავშირის პროფკავშირთა ზამთრის VIII სპარტაკიადის პროგრამით, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა ბავშვთა შეკიბრებების ჩატარებაში.

მთელი ეს მუშაობა მიმართული უნდა იყოს იმ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც რესპუბლიკის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დასახა საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის მიერ შემუშავებულმა „კომკავშირულმა ორწლედმა“ დევიზით — „არც ერთი დასახლებული პუნქტი, მიკრორაიონი სპორტული ბაზებისა და ნაგებობების გარეშე“.

საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ რეიდის ჩატარებაში ყველა კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციის, ფართო საზოგადოებრივი აქტივის, სპორტსმენებისა და მწვრთნელების აქტიური მონაწილეობა.

ვინ შეხვდება სეიბრანდსს?

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, გრძელდება საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი. 9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ი. კუპერმანი — 7 ქულა, ა. განტვარგი — 6,5, ა. ანდრეიკო (სამივე — სსრ კავშირი), ხ. ვირსმა (ჰოლანდია) — 6-6 ქულა და თითო გადადებული პარტია. დასკვნითს ორ ტურში სწორედ ამ ოთხეულს შორის უნდა გამოვლინდეს მსოფლიო ჩემპიონ ტ. სეიბრანდსის (ჰოლანდია) მეტოქე.

გთავაზობთ ბოლო ოთხი ტურის შედეგებს:

V ტური. კუპერმანი — ვირსმა 0,5:0,5, ჯ. კადერაბეკი (ჩეხოსლოვაკია) — განტვარგი 0:1, ფ. ვალდრინგი (სურინამი) — ე. კონვერსკი (ჰოლანდია) 1:0, ანდრეიკო — გ. ბადიალი (იტალია) 1:0, დ. კანდანე (შრილანკა) — მ. ლეპშინი (იუგოსლავია) 0:1. თავისუფალი იყო გ. განიონი (კანადა).

VI ტური. ვირსმა — ვალდრინგი 1:0, განტვარგი — კუპერმანი 0,5:0,5, განიონი — კადერაბეკი 0,5:0,5, კონვერსკი — ანდრეიკო 0:1, ბადიალი — კანდანე 1:0. თავისუფალი იყო ლეპშინი.

VII ტური. ვალდრინგი — განტვარგი 0:1, კუპერმანი — განიონი 1:0, კანდანე — კონვერსკი 0:1. გადაიდო პარტიები: ანდრეიკო — ვირსმა, ბადიალი — ლეპშინი. თავისუფალი იყო კადერაბეკი.

VIII ტური. ვირსმა — კანდანე 1:0, განტვარგი — ანდრეიკო 0,5:0,5, განიონი — ვალდრინგი 1:0, კადერაბეკი — კუპერმანი 0:1, კონვერსკი — ლეპშინი 1:0. თავისუფალი იყო ბადიალი.

IX ტური. ლეპშინი — ვირსმა 0:1, კანდანე — განტვარგი 0:1, ანდრეიკო — განიონი 1:0, ვალდრინგი — კადერაბეკი 0,5:0,5, ბადიალი — კონვერსკი 0:1. თავისუფალი იყო კუპერმანი.

Გ. ᲤᲪᲘᲐᲚᲐᲫᲔ.

* * *

სურათებზე: ზევით — ტურნირის მთავარი მსაჯი, იტალიელი საერთაშორისო არბიტრი დ. ჯუდია (შუაში) თამაშის დაწყების წინ ჰოლანდიელ დიდოსტატ ხ. ვირსმას მიესალმება. იქვე მარჯვნივ დგას ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი ჯ. კადერაბეკი. 11 ნოემბერს პრეტენდენტები თბილისის ღირსშესანიშნაობებს გაეცნენ. ისინი ეწვივნენ ჩაის სახლს, მერე ავიდნენ კომკავშირის ხეივანზე, გაისეირნეს მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში. სწორედ აქ, თბილისის ფონზე გადაიღეს შათ სამახსოვრო სურათი.

ფ. კოტორაშვილის ფოტოები.

წაიკითხეთ:
სირბილით — ბათუმიდან თბილისამდე — მე-2 გვ.
მუდ — მეგობარი და ხელის შემწყობი — მე-3 გვ.
ისევ ტოტალური ფეხბურთის შესახებ — მე-4 გვ.

სსრ უმაღლესის მადლობა

გულითადი სტრიქონები

ძნელია მოიძებნოს სიტყვები იმ აღტაცების გადმოსაცემად, რაც მზიურ საქართველოში გატარებულ რამდენიმე დღეში ვიგრძენით და განვიცადეთ.

ჩვენ, ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტის უცხოელ სტუდენტებს, სტაჟიორებსა და ასპირანტებს, გდრ-ის, ბულგარეთის, კუბის, არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის წარმომადგენლებს, ბევრი რამ გვსმენია ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობისა და გულისხმიერების შესახებ, მაგრამ იმან, რაც თბილისში ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საქართველოში ჩამოსვლის პირველივე წუთებიდან ჩვენ მოწმე ვიყავით ამ სტუმართმოყვარეობისა და გულთბილობისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზღაპრულმა გარემომ, საქართველოს კაშკაშა მზემ გამოხატულება პოვა ყოველი ქართველი ადამიანის ბუნებაში, ხელი შეუწყო მათს სიკეთეს, ხალისიანობას, გულითადობას. თბილისში ჩვენ უცხოდ არ გვიგრძნია თავი. არასოდეს დაგვავიწყდება ის დიდი ყურადღება, რომელსაც ჩვენს მიმართ იჩენდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი, მასწავლებლები და თანამშრომლები. ასეთი შეხვედრისთვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ინსტიტუტის რექტორს ა. მელიას, პარტბიუროს მდივანს ზ. ნათაძეს, მასწავლებლებს ა. მეფარიანს, გ. ბეთანელს, პ. ოკონაშვილს, ვ. ვაშაკიძეს, გ. თელიას, ე. ყურაშვილს, ნ. ოყროშიძეს, ვ. ზამთარაძეს, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილეს ნ. გამყრელიძეს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ახალ მეგობრებს შევხვდებით არა მარტო მოსკოვში, არამედ კაიროში, სოფიაში, ბერლინში, ჰავანაში. სამშობლოში რომ დავბრუნდებით, ყველას ვუამბობთ მშვენიერი საქართველოს, მისი ხალხის შესახებ, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს ხალხთა შორის მეგობრობა!

ბ. ᲑᲔᲜᲖᲔᲚᲡᲓᲝᲠᲤᲘ, დ. ᲞᲠᲐᲣᲖᲔ (ორივე — გდრ), **ბ. ᲪᲐᲜᲝᲕᲐ, პ. ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲕᲘ, Ი. ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲕᲘ** (სამივე—ბულგარეთი), **ე. ᲓᲘᲚᲝᲣ, რ. ᲓᲔ ᲐᲠᲛᲐᲖᲘ, პ. ᲠᲝᲓᲠᲘᲒᲔᲖᲘ** (სამივე — კუბა), **ბ. ᲐᲚᲐᲐ ᲔᲚ-ᲓᲘᲜᲘ** (არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტე).

სესიამ იმსჯელა

გაიმართა ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც მოისმინა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბარათაშვილის მოხსენება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის შესახებ და ჭიათურის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები“.

ბარათაშვილმა ილაპარაკა იმ დიდი ზრუნვის შესახებ, რასაც ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებისთვის იჩენს ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა. ითქვა, რომ თვალსაჩინო მუშაობა ჩატარდა სპორტული ბაზების მშენებლობის ფართოდ გაშლისთვის. მთლიანად იცვალა სახე ქალაქის სპორტკომბინატმა. შეკეთდა ყველა ნაგებობა, დაიდგა ელექტროტაბლო, პროჟექტორები, სტადიონზე მოეწყო რეზინა-ბიტუმის მძლეოსნური სექტორები და სარბენი ბილიკები, მიმდინარეობს დახურული საცურაო აუზის კაპიტალური რემონტი. მწყობრში ჩადგა ღია საცურაო აუზი. გაიხსნა ცურვის შემსწავლელი ჯგუფები.

სესიაზე აღინიშნა ის ნაკლოვანებებიც, რაც ჯერ კიდევ გვხვდება ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში. არადამაკმაყოფილებელია სპორტული მუშაობა სოფლად, ყველა კოლმეურნეობაში არ არის მარტივი ტიპის სპორტმოედნები, ხოლო, სადაც არის, მოუვლელია. სოფელ გეზრულის კოლმეურნეობაში სპორტულ მოედანზე ჩალის ზვინები დადგეს, მარგანტრესტის საბჭოთა მეურნეობის უსახელოს აგროუბანში ფეხბურთის მინდორი გადახნეს.

ძალიან დაბალ დონეზე დგას, აგრეთვე, „განთიადის“ და „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოების მუშაობა. არავითარი სპორტული ბაზები არა აქვთ მარგანტრესტის კალინინისა და ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოებს, № 2 ავტოსატრანსპორტო კონტორას. ლენინის სახელობის მაღაროს შეასანიშნავი ფეხბურთის მინდორი მარგანეცის გადახსნითი სამუშაოების ჩატარების დროს დაინგრა.

სესიაზე მკაცრად გაკრიტიკეს სკოლებში მუშაობის დონე. აღინიშნა, რომ ბევრგან ფიზიკურ აღზრდას ასწავლიან შემთხვევითი პირები — აგრონომები, მათემატიკის, რუსული ენისა და ისტორიის პედაგოგები, რომლებსაც სპორტზე წარმოდგენა არა აქვთ. ასეა, მაგალითად, ჩხირაულის, ჯანდათის, სვერის საშუალო, გეზრულის, თაბაგრების, ეწერის, რეხილათის, ცხრუკვეთის, სკინდორის, ხვაშითის რვაწლიან სკოლებში. განათლების განყოფილების სპორტული სკოლის ნაყოფიერ მუშაობას ბაზების უქონლობა აფერხებს.

კვლავ ცუდად მუშაობს საქსპორტვაჭრობის ჭიათურის მაღაზია — სპორტული ინვენტარი არ შემოაქვთ. ჭიათურის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ამ საქმის მოსაგვარებლად ზესტაფონში, ტყიბულსა და ქუთაისში უხდებათ სიარული.

სესიამ მიიღო ღონისძიება არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის.

შ. ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის

VI სპარტაკიადა • თბილისი

ორი ახალი ოსტატი

ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება ავჭალის ბაზაზე რატარდა. ასპარეზობის შედეგად საქართველოს სპორტის ოსტატთა რიგებს ორი კაცი შეემატა. ორგვალ სამიზნეებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში არმიის სპორტკლუბის გუნდის წევრმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ი. ულუბიევმა 600 შესაძლებლიდან 552 ქულა მოაგროვა, მოიპოვა ჩემპიონობა და სპორტის ოსტატის წოდება. საერთოდ, არმიელებს ამ ვარჯიშში ბადალი არ ჰყავდათ: პომდევნო საპრიზო ადგილებზეც ულუბიევის თანაგუნდელები გავიდნენ. ვ. ხალეცკიმ, რომელიც პირად პირველობაში გამოდიოდა, 549 ქულის მოგროვება შეძლო, ხოლო ა. დიდმელაშვილი 537 ქულით III ადგილზე გავიდა.

არმიელებმა გუნდური ტურნირიც მოიგეს (ყოველი გუნდიდან ჩათვლაში ორი მონაწილის მაჩვენებელი შედიოდა, ოღონდ შედეგები I თანრიგისა უნდა ყოფილიყო) — 1089 ქულა.

სამწუხაროდ, სხვა კოლექტივების წარმომადგენლები ამაოდ გაისარჯნენ.

სპორტის ოსტატი გახდა არმიელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. ხორიაშვილიც, რომელმაც ყველას აჯობა „გაქცეულ ტახზე" მცირეკალიბრიანი შაშხანის 40-ჯერ გასროლაში. ხორიაშვილმა, როცა სამიზნე ნელა მოძრაობდა, 190 ქულა მოაგროვა, შემდეგ კი, როცა „ტახი" უფრო სწრაფად გარბოდა, 188 ქულა მოაგროვა. საბოლოოდ სპორტსმენს 378 ქულა დაუგროვდა, რაც საკავშირო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს შეესაბამება.

ეს ვარჯიში თავიდან ვ. სამოილენკოსაც (ასკ) კარგად დაიწყო: პირველი 20 გასროლის მერე 189 ქულა ჰქონდა, მაგრამ სწრაფად მოძრავ სამიზნეზე შედარებით უზუსტოდ ისროდა და საბოლოოდ 356 ქულით I თანრიგის ნორმატივს დასჯერდა, თუმცა II ადგილი მაინც დაისაკუთრა. III ადგილი ხვდა სპორტის ოსტატ თ. ლეკამვილს („ბურევესტნიკი") — 351. გუნდურ ჩათვლაში, რა თქმა უნდა, არმიელებმა იმარჯვეს — 734 ქულა. „ბურევესტნიკი" ლეკიშვილის წყალობით II ადგილზე გავიდა.

სპარტაკიადის მონაწილეებმა კიდევ ერთ ვარჯიშში შეძლეს სპორტის ოსტატის ნორმატივის შესაბამისი მაჩვენებლისთვის მიეღწიათ. ეს იყო მცირეკალიბრიანი შაშხანის 50 გასროლა წოლილა. არმიელმა სპორტის ოსტატმა ა. მარუთიანმა 600-დან მხოლოდ 5 ქულა დაკარგა და 7 ქულით აჯობა ა. შამეკოს („კოლმეურნე". მისი გუნდი უკონკურსოდ ასპარეზობდა). დინამოელმა სპორტის ოსტატმა ლ. ოსტრიკოვმა შამეკოსთან 2 ქულა წაგო, მაგრამ გუნდი 586 ქულით არმიელთა შემდეგ II ადგილზე გაიყვანა. ჩათვლა სპარტაკელებმაც მიიღეს და III ადგილი დაისაკუთრეს — 583.

სტანდარტზე (3×20) მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში გაბარჯვებისთვის დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ოსტრიკოვმა და შამეკომ. წოლილა სროლამ შამეკო დააწინაურა — 197 ქულა. ოსტრიკოვი მასთან 4 ქულას აგებდა. ჩოქელა სროლამ უპირატესობა ოსტრიკოვს მოუტანა — 178 (შამეკო—176). როცა დგომილა სროლაც დამთავრდა, სტანდარტის ჯამში მეტოქენი გათანაბრდნენ — ოსტრიკოვსაც (დგომილა 190 ქულა) და შამეკოსაც (188) 561-561 ქულა დაუგროვდათ. ჩემპიონი ოსტრიკოვი გახდა. II ადგილზეა შამეკო, III — ა. მარუთიანი — 558 ქულა.

ეს ვარჯიში იყო ერთადერთი, რომელშიც მონაწილეთა უმეტესობამ ჩათვლა მიიღო. შეუფასებელი მხოლოდ „განთიადის" გუნდი დარჩა. დინამოელებმა და არმიელებმა 1109-1109 ქულა დააგროვეს. III ადგილზე სტუდენტთა კოლექტივი გავიდა — 550 ქულა.

„კოლმეურნის" სპორტსმენთა აშკარა უპირატესობით დამთავრდა სილუეტებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლა: მ. ქამურაშვილმა 581 ქულა მოაგროვა, გ. ბუსეინოვმა — 571. მათ I და III ადგილები დაისაკუთრეს. ვეტერანმა კ. ფოტიევმა (ასკ) 575 ქულა მოაგროვა, თვიოთანაც II ადგილი მოიპოვა და გუნდსაც ეს ადგილი მოუტანა. არმიელებმა მოლოდ „განთიადის" დუეტმა აჯობა, რომლის წევრებმაც 1130 ქულა მოაგროვეს.

სპარტაკიადის მონაწილენი კიდევ ერთ ვარჯიშს ასრულებდნენ: სტანდარტზე (3×20) ნებასმიერი შაშხანის სროლას. სპორტის ოსტატმა ვ. პენკოვმა წოლილა 193 ქულა მოაგროვა, ჩოქელა — 175, დგომელა — 193 და საბოლოო ჯამში გაბარჯვებაც დაისაკუთრა — 561 ქულა. II ადგილზეა მისი თანაგუნდელი გ. მარუთიანი — 548. III ადგილზე გავიდა სპარტაკელი ო. კაკაურიძე (535), მაგრამ გუნდს ვერაფერი არგო, ვინაიდან მისი შედეგი მხოლოდ II თანრიგის ნორმატივს შეესაბამება.

როგორც შედეგები მეტყველებს, თბილისელ ტყვიის მსროლელებს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე წარმატებისთვის ძალიან დიდი შრომა მართებთ. მარტო გ. თავდიდიშვილის, ვ. სკრინიკოვის, ე. აბაჯანიანისა და ორიოდე სხვა სპორტსმენის იმედით ფონს ვერ გავალთ.

ვ. ბელაშვილი.

ოქტომბრის ზეიმს მიუძღვნეს

დოსაფისა და ფიზკულტურის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტებმა ჩაატარეს ოქტომბრის რევოლუციის 57-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პირადგუნდური პირველობა პნევმატური შაშხანის სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 საშუალო სკოლის 66 სპორტსმენი.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა მე-8 სკოლის ნაკრებმა — 230 ქულა. II ადგილზე გავიდა მე-2 სკოლის გუნდი — 226, III — 1-ლი სკოლის კოლექტივი — 216.

პირად შეჯიბრებაში ჯაბუკთა შორის იმარჯვა შ. გულბანმა (მე-8 სკოლა) — 49 ქულა, გოგონებში ყველას აჯობა ნ. აბასავამ (მე-2 სკოლა) — 46 ქულა.

ბ. ალფიგაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

„კუმ" მეჯი ირბინა

400 კილომეტრზე

როგორც ვწერდით, „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს ინსტრუქტორ ჯ. ხუბუას თაოსნობით ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შეიქმნა ზოგადგამაჯანსაღებელი ჯგუფი, რომლის ძირითადი დევიზი იყო „რბენა ჯანმრთელობისთვის". გაჯანსაღების მსურველთა რიგები და სამოყვარეულო სირბილი თანდათან გაფართოვდა და მალე სტადიონის ფარგლებსაც გასცდა. ჯგუფის წევრ ახალგაზრდებსა და საშუალო ასაკის ხალხსაც ხშირად შეხვდებით ქუჩების მიდამოებში.

კოლექტივი თანდათან განმტკიცდა და გაძლიერდა. ბევრს სტადიონისა თუ ქუჩების მიდამოებში რბენა ალარ აკმაყოფილებდა. გადაწყვიტეს ძალა უფრო დიდ მანძილებზე მოესინჯათ. შექმნეს სამოყვარეულო კლუბი „კუ" და რუსთავიდან თბილისამდე სირბილით ჩამოსვლა გადაწყვიტეს, რაც მალე გააკეთეს კიდეც.

პირველმა წარმატებამ კლუბის წევრების ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა. ამას წინათ „კუმ" ბათუმიდან თბილისამდე 400 კილომეტრზე მეტი გაირბინა. ლაშქრობა, რომლის სტარტზეც 22 მონაწილე გამოვიდა, დიდი ოქტომბრის რევოლუციის 57-ე წლისთავსა და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების მიეძღვნა.

„კუს" წევრები ქალაქებში თავიდან ხოლომდე ერთად დარბოდნენ, დანარჩენი გზა კი ეტაპებად იყო დაყოფილი. 10-10-კილომეტრიან ეტაპებზე ესტაფეტა წყვილებს მიაქონდათ. თბილისელებმა პირველ დღეს ბათუმიდან სამტრედიამდე ირბინეს, მეორე დღეს — სამტრედიიდან ხაშურამდე, მერე ხაშურიდან მცხეთაში ჩავიდნენ, მეოთხე დღეს კი მცხეთიდან უკვე ერთად დაადგა თბილისის გზას.

სირბილის მოყვარულთა კლუბ „კუს" წევრებმა მთელი გზა 80 საათსა და 10 წუთში დაფარეს. ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯ. ხუბუამ გვითხრა:

— მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით. განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ქვეითი ლაშქრობა თბილისიდან მოსკოვამდე, ისე, რომ მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის საზეიმო გახსნას ჩავუსწროთ.

ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანაა.

ც. ძიმისტარიშვილი.

* * *

სურათზე: ბათუმი — თბილისის გადარბენის მონაწილენი თბილისიდან მოსკოვამდე, ისე, რომ მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის საზეიმო გახსნას ჩავუსწროთ.

ფოტო ა. კოტორაშვილის.

ხალიჩის დიდოსტატის მეორე ცხოვრება



შოთა ლომაძის სახელთან ქართული სპორტის ისტორიის ბევრი ბრწყინვალე ფურცელია დაკავშირებული. მან ღირსეულად გააგრძო სახელოვან ფალავანთა ტრადიცია, იყო სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს შრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, აქტიურად იცავდა საბჭოთა სპორტის ღირსებას უცხოეთის ბევრ სარბიელზე.

სახელოვანმა ფალავანმა უკვე კარგა ხანია თავი დაანება სპორტს, მაგრამ ჭიდაობის მოყვარულთ ნათლად ახსოვთ მისი ლაღი და თამამი ბრძოლები. იგი დღესაც ჩვენი საწოვადფერიობის ყურადღების ცენტრშია, მაგრამ არა როგორც სპორტსმენი, არამედ სპეციალისტი — შრომისმოყვარე, მცოდნე, პატიოსანი და ენერგიული.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიღებული ცოდნა მას ცხოვრებაში გამოადგა და, როცა თავი დაანება აქტიურ სპორტს, თავისი სპეციალობით დაიწყო მუშაობა. იგი ახალციხის საკონსერვო ქარხნის დირექტორია და, როგორც საწარმოს დაკვირვებული ხელმძღვანელი, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს კოლექტივში.

სპორტში საოცრად წოლთხოვნი თავისი თავისადმი, იგი ახლაც ასეთი დარჩა. ამიტომაც არის, რომ ახალციხის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია პოპულარობით სარგებლობს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. პროდუქციის ხარისხისთვის ბრძოლა ახალციხელ მეკონსერვეთა მთავარი ამოცანაა და ისინიც გაათკეცებული ენერგიით იბრძვიან თავიანთი ქარხნის კეთილი სახელისთვის.

ზ. ახალაძე.

სურათზე: შოთა ლომაძის ჩემპიონი და ქარხნის დირექტორი შ. ლომაძე (მარჯვნივ) საამქროს უფროს ვ. ბერიძესთან ერთად ამოწმებს ზზა პროდუქციას.

ზ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ახალციხე.

200-ზე მეტი მონაწილე

დამთავრდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძმლეოსნობაში. მონაწილეობდა რაიონის 17 საშუალო და 10 რვაწლიანი სკოლის ნაკრები გუნდების 200-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი. მოსწავლეთა ნახევარზე მეტმა შეასრულა შშდ კომპლექსის ნორმატივები.

საშუალო სკოლებს შორის I ადგილი ხვდა ჩიხის საშუალო სკოლის გუნდს. II და III ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ჭალისა და ქალაქის მე-2 საშუალო სკოლების გუნდები.

რვაწლიანი სკოლების ტურნირში პირველობა არავის დაუთმეს ბაჯითის წარმომადგენლებმა. II და III ადგილები დაიკავეს მახათაურისა და საკანის სასწავლებლების ნორჩებმა.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

საჩხერე.

„ლელოს" ნაკვალევზე

„ტრადიციები თანდათან ქრება"

ამ სათაურით „ლელოს" 24 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ლაპარაკი იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტული ბაზების საკალათო მდგომარეობაზე, რაც ქარხანაში სპორტული მუშაობის აღმავლობას ეფერხებდა. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს.

საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი დ. ლომთათიძე გვაცნობინებს „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 1974 წლის 27 სექტემბერს განიხილა საკითხი „ქალაქში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". სხვა საკითხებთან ერთად იყო მსჯელობა მეტალურგიული ქარხნის სპორტული ბაზების მდგომარეობაზე.

საქალაქო კომიტეტის ბიუროს მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობას დაავალა უახლეს დროში დაიწყოს და მომავალი სპორტული სეზონის გახსნამდე დაამთავროს აღნიშნული სპორტული ბაზების რემონტი.

ამასთან, საქალაქო კომიტეტის ბიუროს ქალაქის საბჭოს აღმასკომსა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაავალა 1 დეკემბრამდე შეიმუშაონ და პარტიის საქალაქო კომიტეტში წარმოადგინონ კონკრეტული ღონისძიებანი მშენებარე სპორტული ბაზების დროული დამთავრებისა და არსებულ ნაგებობათა კეთილმოწყობისთვის".

საქართველოს ჩემპიონატი

I ჯგუფი

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 2:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა საუკეთესოდ ითამაშეს ლიდერის წინააღმდეგ, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვლადიწენკომ, რომელმაც 2 გოლი გაიტანა პირველ ტაიმში. ჭიათურელებმა მხოლოდ 1-ბურთით უპასუხეს (მაღრაძე).

გაფრთხილებულია ჭიათურელი ბ. მესხაძე (ეს მისი მეორე გაფრთხილებაა წლეულს).

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა თუნთიამ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელი თ. ჭანტურია და ზესტაფონელი გ. კვინიკაძე. ამ.ს გარდა, წლეულს უკვე მესამე გაფრთხილება მიიღო თბილისელმა გ. თუნთიამ.

● „კახეთი“ (თელავი) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. ეჩიბაია (თბილისი).

● „განთიადი“ (თბილისი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 0:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

განთიადელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ მეორე ტაიმში მაინც გაუშვეს ბურთი გოგოლაძის შორეული დარტყმის შემდეგ.

● „ხალბინო“ (გეგეჭკორი) — „ვარძია“ (ახპინძა) 2:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მასპინძელთა საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა დამთავრდა ბართაიას და ჩხეტიას მიერ გატანილი ორი გოლით.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:1. მსაჯი ტ. ტურაშვილი (გორი).

საქართველოს ჭიადაობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 2:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა საუკეთესოდ ითამაშეს ლიდერის წინააღმდეგ, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვლადიწენკომ, რომელმაც 2 გოლი გაიტანა პირველ ტაიმში. ჭიათურელებმა მხოლოდ 1-ბურთით უპასუხეს (მაღრაძე).

გაფრთხილებულია ჭიათურელი ბ. მესხაძე (ეს მისი მეორე გაფრთხილებაა წლეულს).

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა თუნთიამ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელი თ. ჭანტურია და ზესტაფონელი გ. კვინიკაძე. ამ.ს გარდა, წლეულს უკვე მესამე გაფრთხილება მიიღო თბილისელმა გ. თუნთიამ.

● „კახეთი“ (თელავი) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. ეჩიბაია (თბილისი).

● „განთიადი“ (თბილისი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 0:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ქობულეთელი ვ. კრესტიანინოვი.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

ორივე ბურთი ხოფერიამ გაიტანა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიიღო გორელმა დ. ტლაშაძემ.

● „კახეთი“ (თელავი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

თელაველთაგან ორი ბურთი გაიტანა ცირკაკიძემ, ერთიც — ჩაველაშვილმა, ხოლო „ამირანიდან“ — ორივე დარასელიამ.

● „მეტალურგი“ (რუსთავი) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი ნ. დუბროვინი (თბილისი).

რუსთაველელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ პირველ ტაიმშივე, მაგრამ ანგარიშის გასწორება ვერ შეძლეს. შემდეგ მიქაშავიძემ და ბაგუამ ორჯერ აიღეს არმიელთა კარი, საპასუხო ბურთი კაველიძემ გაიტანა.

● „ივერია“ (ხაშური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. დურსუნიშვილი (სოხუმი).

გოლი გაიტანა გუგუშვილმა.

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 2:0. მსაჯი ტ. ტურაშვილი (გორი).

* * *

ხობის „კოლხეთისა“ და სოხუმის „დინამოს“ შეხვედრაში ხობელებმა ათამაშეს ფეხბურთელი, რომლის გვარიც განაცხადში შეტანილი არ იყო. ამისთვის მათ დამარცხება ჩაეთვალათ.

9 ნოემბერს ცხინვალის „სპარტაკთან“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ვანის „სულფარი“. დებულების თანახმად, ეს გუნდი მოიხსნა შეჯიბრებიდან და ვაისად ვერ მიიღებს მონაწილეობას I ჯგუფის გათამაშებაში.

გათამაშების ცხრილი

ოდგომარეობა 18 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„ჩალარ.“	33	22	4	7	63—20	48
„მეტალურგი“ (რუსთავი)	31	19	9	3	61—22	47
„დინამო“ ბს	34	17	9	8	65—36	43
	35	16	10	9	66—43	42
„ეგრისი“	34	17	8	9	56—35	42
„ხალბინო“	34	14	13	7	50—31	41
ფიზკ. ინსტ.	34	17	7	10	65—51	41
„ლოკომ.“	34	14	11	9	50—41	39
„ამირანი“	34	14	8	12	48—43	36
„შუქურა“	34	13	10	11	45—35	36
„მეტალურგი“ (ზესტაფ.)	34	11	12	11	48—45	34
„მეშახტე“	34	13	7	14	45—57	33
„კახეთი“	35	12	8	15	48—56	32
„ქართლი“	33	12	6	15	55—59	30
„კოლხეთი“	34	8	10	16	39—55	26
„ვარძია“	34	11	4	19	35—53	26
„განთიადი“	34	7	9	18	40—62	23
„ივერია“	33	9	5	19	32—61	23
„სულფარი“	34	6	7	21	33—88	19
„სპარტაკი“	34	5	5	24	33—84	15

ზონალური შეჯიბრება

„ავიატორი“ (ქუთაისი) — „ლესიჭინე“ (წყალტუბო) 0:2, „მშენებელი“ (ბათუმი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:1, „ლესიჭინე“ (წყალტუბო) — „ავიატორი“ (ქუთაისი) 0:0, „ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „ჰოლიტექნიკური“ (საგარეჯო) 2:1.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

II ჯგუფი

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„დერუჯი“ (ყვარელი)	22	16	5	1	58—14	37
„განთიადი“ (ლაგოდეხი)	22	13	3	6	50—30	29
„მეხეთი“ (ახალციხე)	22	12	2	8	51—34	26
„მადნეული“ (ბოლნისი)	22	9	8	5	36—36	26
„ალაზანი“ (გურჯაანი)	22	10	5	7	57—45	25
„კოლმეურნე“ (ბორჯომი)	22	9	4	9	47—46	22
„არაგვი“ (დუშეთი)	22	9	4	9	58—58	22
„ჭერემი“ (ლაგოდეხი)	22	9	4	9	36—39	22
„ბანახლეგა“ (ადიგენი)	22	8	6	8	29—37	22
„უინწვისი“ (ქარელი)	22	7	3	12	32—41	17
„სამცხე“ (აწყური)	22	3	6	13	32—64	12
„ციხისპარი“ (ხიდისალი)	22	1	2	19	16—58	4

II ზონა

„იმერეთი“ (თერჯოლა)	20	14	3	3	61—25	31
„კოლმეურნე“ (წულუკიძე)	20	13	5	2	42—16	31
„გიგანტი“ (ლაითური)	20	11	4	5	49—18	26
„სკური“ (წალენჯიხა)	20	11	4	5	41—24	26
ხიხ დამუშ. კომბ. (სამტრედია)	20	8	5	7	46—45	21
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	20	6	6	8	34—34	18
„სამგურალი“ (წყალტუბო)	20	4	9	7	32—42	17
„ჩიხურა“ (საჩხერე)	20	6	3	11	20—40	15
„ზზიური“ (გალი)	20	4	6	10	31—50	14
„კოლმეურნე“ (გულრიფში)	20	4	3	13	22—54	11
„განთიადი“ (აბაშა)	20	2	6	12	20—50	10

შენიშვნა: I ჯგუფში გადასასვლელი მატჩი: „იმერეთი“ (თერჯოლა) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 15 ნოემბერს შედგება გორში.

ვეტერანის პრიზისთვის

ჩატარდა შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების მორიგი მატჩები რესპუბლიკის II ლიგის გუნდებს შორის.

ზუგდიდის დინამოელებმა მიიღეს ფოთის „კოლხეთი“ და დამარცხეს იგი ანგარიშით 3:2. ლანჩხუთის „გეორგიისა“ და სამტრედიის „ლოკომოტივის“ შეხვედრა ლანჩხუთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:1. ზახარაძის „მერცხალმა“ თავის მინდორზე მოუგო ზუგდიდის „დინამოს“ — 1:0.

საკდესი მოგვითხრობს



ერთგული თანაშემწე

დუშანბეს ცენტრის ქარხნის-მუშაობისადმისურეთა ნახევარზე მეტი მონაწილეობდა საწარმოს სპარტაკიადაში, რომელიც წმდ კომპლექსის პროგრამით ჩატარდა. სიზუმო ვითარებაში სამკერდე ნიშნები გადაეცა ორას კაცს, მათ, ვინც სეზონის განმავლობაში ყველა გამოცდა ჩაბარა. ზეინკალმა ა. სოლოვიოვმა, მემანქანე ნ. ამრილოევმა და ელექტრიკოსმა ვ. ჯაბაროვმა „იქრის“ ჯილდოები მიიღეს.

მწდ კომპლექსის ნორმატიულების ჩაბარება სოციალისტური შეჯიბრების პირობებში ერთ-ერთი მთავარი პუნქტია. ახლა ქარხნის სხვადასხვა სპორტულ სექციაში 150-ზე მეტი ადამიანი ვარჯიშობს. ძველი ბაზა უკვე აღარ აყოფნით ფიზიკურ კულტურაში მუცადინეობის მსურველებს. კოლეგიურელებმა და ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით აგონ ახალი სპორტული კომპლექსი.

ლ. ჩიბრინი.

დუშანბე.

ახალი წოდება — „მწდ კომპლექსის კოლექტივი“

ბარკოვის სატრაქტორო ქარხანაში ბრიგადები, უბნები და ცვლები იბრძვიან „მწდ კომპლექსის კოლექტივის“ წოდებისთვის. ეს შეჯიბრებები საწარმოს ფიზიკულტურელებს ხელს შეუწყობს პროფკავშირთა მორიგი ზამთრის სპარტაკიადისთვის მზადებაში.

ამჟამად ქარხანაში 6 ათასზე მეტ მუშას და მოსამსახურეს აქვს მოპოვებული მწდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი. განსაკუთრებით პოპულარულია უბნების, სამმეროების, განყოფილებების შეჯიბრება. მაგრამ ყველაზე მეტი გამოცოცხლება მაუურებელთა შორის მაინც იგრძნობა, როცა სტარტზე გამოდიან სმირნოვები, გრინიოვები, კოშელიოვები...

ლ. გოლდფარბი,
ლ. პილიპენკო.

ბარკოვი.

ოჯახური რეკორდი

ტურისტულმა კლუბმა კარელიამ მოაწყო ქვეითი ლაშქრობები, რომელთა მოსაწყენ ყოველი სამი კაციდან ორი მწდ კომპლექსის ნორმატივებში ჩაეტია. ძარშრუტი პეტროზავოდსკის შემოგარეხვა გადიოდა, სტარტზე კი დდის ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გამოსვლა.

თვისებური „რეკორდი“ დაამყარა ნ. ტარანოვამ, რომელიც მთელ „ბუნდს“ (ეკოლ. „ბენსიონერი სიდედრი და ორი ვაჟი) მეთაურობდა. ოჯახის ყველა წევრმა „ოთხიანები“ და „ხუთიანები“ მიიღო.

ქვეითი მარშრუტები ძალიან მოეწონათ ფიზკულტურელებს. კარელიაში ჯერ ზამთარი არ დამდგარა და ეს ლაშქრობები კარგი ვარჯიშია მომავალი სათხილამურო სეზონისთვის.

ნ. ბილოვი.

პეტროზავოდსკი.

სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშნით

თავის მეგობრებს, კაუნასის ავიასპორტული კლუბის წევრებს, რომლებმაც ყოფილ თბილისელებელს, ამჟამად ლეიტენანტ რომან რუტკაუსკასს საბჭოთა მილიციის დღე მიულოცეს, ამ უკანასკნელმა სპორტის ოსტატის ჩაბმულეტილი სამკერდე ნიშანი უნვენა: ლითონზე ტყვია ასწლეტილა, ელამდე ვერ მიუღწევია, მაგრამ მკერდში მაინც დაუკრია ლეიტენანტი.

... ვეიან საღამოს ლეიტენანტი ვამოიძახეს: ტაკსის შოფერს, ვინმე კაზლაუსკასს შინ დებოში აუტანია მთვრალს და ცოლი დანით დაუკრია. მილიციის მუშაკს დასწინაოვე სანადირო თოფის სროლითო შეუვდრია.

მილიციაში მუშაობის ოთხი წლის მანძილზე რუტკაუსკასს ბევრჯერ დასჯირდა ამტანობის, გამჭრიახობის, ძალის, ხიმამაცის ვამოჩენა. ამ თვისებების გამოსუშავებაში კი მას სპორტი დაეხმარა. რომანი ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გადაეცა ხალხურშეტა სპორტმა. მის „ანგარიშზეა“ 900 ნახტომი, სპორტის ოსტატის ნორმა, ავიასპორტულ კლუბში ინსტრუქტორად მუშაობა. დოსაფელი კომკავშირელები არჩევანში არ შეშფდარან, როცა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს, საქმის ერთგულ ახალგაზრდას შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ გაუწვიეს რეკომენდაცია.

— ამ ხნის მანძილზე, — უთხრა რომანმა მეგობრებს, — სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშანი წუთითაც არ მომიშორებია.

ს. ვაინტრაუბასი.

კაუნასი.

სპორტულ ფეხბურთელთა და ექთი „ალეზრელის“ ხელიგნობა

ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგიყვებით, შეიძლება არც დაიჯეროს კაცმა. ასეთი რამ ჩვენში არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება, იშვიათი გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც...

14 სექტემბერს ბოლნისის „მადნეულის“ ფეხბურთელები თავიანთს მინდორზე რესპუბლიკური გათამაშების კალენდარულ მატჩში ხვდებოდნენ ყვარლის „დერუჯს“. მასპინძლებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 1:0.

დამთავრდა მატჩი და სამსაჯო ოთახში შეცვივდნენ „დერუჯის“ მწვრთნელი ო. სამიტაშვილი, ფეხბურთელები ს. ღონღაძე და ო. ჩიხიაშვილი, რომლებიც უძველი სიტყვებით ლანძღავდნენ თამაშის არბიტრს დ. გაგნიძეს. მხოლოდ ადგილობრივი მილიციის მუშაკთა აქტიური ჩარევით გახდა შესაძლებელი ოთახიდან ხულიგანთა გაყვანა.

უკვე ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს „დერუჯის“ ხელმძღვანელისა და ფეხბურთელების მორალურ მზარეზე, მაგრამ ხულიგანი რის ხულიგანია, თუ ბოლომდე არ შეასრულა თავისი ანდრეანსნილი ზრახვები. უკვე შემდეგ, როცა ყვარლელთა ავტობუსით თბილისისკენ გამოემგზავრნენ მსაჯი და ბოლნისელ ფეხბურთელთა ნაწილი, ისტორია გაგრძელდა: სამიტაშვილმა მსაჯს სთხოვა „ერთი წუთით“ ჩამოსულიყო ავტობუსიდან, მოშორებით გაიყვანა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ სცენის შემყურე ყვარლელი მოთამაშეებიც გადმოვიდნენ მანქანიდან, თავიანთი „წვლილი“ შეიტანეს „შურისძიების“ საქმეში, რის შედეგაც მთელი გუნდი გაუდგა გზას შინისკენ.

ბოლნისელებმა სასწრაფოდ წაიყვანეს დ. გაგნიძე საავადმყოფოში პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

ეს უპრეცედენტო ამბავი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მსჯელობის საგნად იქცა. დაგეგეთანხმებით, ზემოხსენებული კრიმინალური ინციდენტი უფრო საგამოძიებელო ორგანოების საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ სპორტტექნიკურმა კომისიამ თავისი მკაცრი განაჩენი გამოიტანა წესრიგის დამრღვევთა მიმართ: ო. სამიტაშვილს აეკრძალა მწვრთნელად მუშაობა, ს. ღონღაძე და ო. ჩიხიაშვილი თითო წლით „დაისვენებენ“, ხოლო ყვარლის „დერუჯი“ პირობით დისკვალიფიცირებულია 1975 წლის ბოლომდე.

როგორ მოხდა, რომ ყვარლელებმა, რომლებმაც წარმატებით ჩაატარეს სეზონი, I ადგილი დაიკავეს მეორე ჯგუფის ზონაში და გაისად რესპუბლიკურ ჩემპიონატში უნდა ითამაშონ I ჯგუფის კოლექტივთა შორის, ასეთი საქციელი ჩადინეს? ცხადია, ყვარლის ფიზკულტურული ხელმძღვანელები მხოლოდ სპორტულ შედეგებზე ფიქრობდნენ, ფეხბურთელთა მორალური აღზრდის, გუნდში პოლიტაღზრდელობითი მუშაობის საქმე კი ბედის ანაბარად ჰქონდათ მიტოვებული. და, აი, შედეგიც: იმედი გვაქვს, ყვარლის მოსახალში მაინც მიმართავენ შესაბამის ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ჩვენს გაზეთში არაერთხელ გამოქვეყნდა მასალები იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში კვლავ გვხვდება წესრიგის დარღვევის, უხეშობის, უდისციპლინობის შემთხვევები, სპორტტექნიკურ კომისიას კი კვლავ და კვლავ უნდა ახალ-ახალ ინციდენტებზე მსჯელობა და ხანქტიების მიღება.

ცხაკაიას „ეგრისისა“ და ტყიბულის „მეშახტის“ შეხვედრაში ცხაკაიელმა ო. ხოფერიამ გაფრთხილება მიიღო. გვერდითს მსაჯთან კამათისთვის. შემდეგ მან შეაგინა არბიტრს, რისთვისაც მაშინვე გააძევეს მინდვრიდან.

ხობელმა ფ. გოცირიძემ თბილისის „ლოკომოტივთან“ მატჩში დაურიდებლად დაარღვია წესი, უხეშად ითამაშა. უწესოდ მოიქცნენ მინდორზე ახპინძელი ბ. ქავთარაძე, ტყიბულელი შ. გვენეტაძე, ხობელი მ. ზაქარაია, ჩხოროწყუელი ა. ჩიტაია, ზესტაფონელი ა. ქათამაძე, რუსთაველი ო. შენგელია, თბილისის „ლოკომოტივის“ წევრი შ. ახალაია. მათს მიმართ მიღებულია სასჯელის სხვადასხვა ზომა.

ლაითურის „გიგანტისა“ და სამტრედიის ხიხ დამუშავებელი კომბინატის გუნდის მატჩში სამტრედიელი ი. ბარდაკოვი უდისციპლინობისთვის მინდვრიდან გააძევეს, მან კი ახალი დანაშაული ჩაიდინა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. ბარდაკოვი მკაცრადაა დასჯილი: სამუდამო დისკვალიფიკაცია მიეცა.

ტყიბულის „მეშახტისა“ და გორის რაიონის „ქართლის“ შეხვედრაში მსაჯის შეგინებისთვის მინდვრიდან იყო გაძევებული გორელი ჯ. ბარღიშვილი. მან 8 მატჩით მიიღო დისკვალიფიკაცია, მაგრამ ეს არაფერი მიიჩნია, სასჯელის მოხდის შემდეგ პირველივე მატჩში დაარღვია წესი — წიხლი ჩაარტყა მეტოქეს. გამოუსწორებელ ხულიგანს, დებულების შესაბამისად, ერთი წლით აეკრძალა თამაში.

ლანჩხუთის „კოლმეურნისა“ და წულუკიძის „ქიმიკოსის“ კალენდარული მატჩი შეწყდა იმის გამო, რომ მსაჯმა მინდვრიდან გააძევა წულუკიძელი ფეხბურთელები გ. ელიავა და მ. ჩარგეიშვილი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაემორჩილა ამ განკარგულებას (ამ მომენტში ანგარიში იყო 1:0 „კოლმეურნის“ სასარგებლოდ), რის გამოც მატჩი ჩაიშალა. ელიავა და ჩარგეიშვილი დისკვალიფიცირებული არიან 1975 წლის ბოლომდე, „კოლმეურნეს“ კი გამარჯვება ჩაეთვალა.

როგორც ხედავთ, უდისციპლინობა ჩვენს სტადიონებზე გრძელდება. წესრიგის დამრღვევები საკმარისად იხვებიან, მაგრამ, ცხადია, რომ მარტო ამ ღონისძიებებით სასურველ შედეგებს ვერ მივაღწევთ, საჭიროა ქმედითი ზომების მიღება ადგილებზე, თვით გუნდების მწვრთნელების, ფიზკულტურული ხელმძღვანელობისა და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური ჩარევა, რომ ამ უსმგავსობას ჩვენს ფეხბურთში ბოლო მოეღოს.

70-ანი წლების პირველი

ეჭვს ზოგიერთს ჰგონია, რომ ტოტალური ფეხბურთის არი მოთამაშეთა დაუსრულებელ გადაადგილებებში, შეუჩერებელ სირბილში მდგომარეობს? ეს დღევანდელი ფეხბურთის ლიტმოტივი ერთობ ვულგარული გაგებაა. როცა ვლაპარაკობთ დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე X მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში დემონსტრირებულ ტოტალურ ფეხბურთზე, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ მეტისმეტად მობილურ, ძოძრავ თამაშს, რომელიც ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულ მოთამაშეთა მაღალ ტექნიკურ-ტაქტიკურ ოსტატობაზეა დაფუძნებული. ამავე დროს, როგორც ამ თემაზე ჩვენთან საუბარში ფეხბურთის ჩინებულმა სპეციალისტმა ა. ნორაკიძემ აღნიშნა, მაღალი დონის ტოტალურ ფეხბურთში აუცილებელია ცალკეულ მოთამაშეთა „ტაიმ-აუტები", პატარ-პატარა შესვენებები. ამის მაგალითად მან ჰოლანდიის ნაკრები მოიყვანა: ნეესკენსი და კრუიფი ამ მხრივ ძალიან უწყობდნენ ერთმანეთს ხელს. დგებოდა მომენტები, როცა კრუიფი დასასვენებლად ზურგში იხევდა, ასე ვთქვათ, მეორე ეშელონში გადადიოდა, ერთხანს თითქოს ჩრდილში იყო, ამ დროს კი ნეესკენსი გადიოდა წინა ხაზზე და თავის მოვალეობასთან ერთად კრუიფის ფუნქციებსაც ასრულებდა. მერე პირიქით ხდებოდა... და ასე რამდენიმეჯერ მატჩის დროს.

მართლაც, ყოველად წარმოუდგენელია 90 წუთის განმავლობაში 20 კილომეტრის შეუწყვეტელი სირბილი წინ და უკან... (ამიტომ არის ასე ძნელი მაღალი კლასის ტოტალური ფეხბურთის თამაში. აქ ყოველი დეტალი უაღრესად გააზრებული უნდა იყოს. რგოლების ურთიერთმოქმედება და კავშირი უზუტეს შეთამაშებას საჭიროებს, აქ ტაქტიკა უპირველესი ფაქტორი ხდება. ერთი სიტყვით, ეს არის ფეხბურთის აკადემია, რომლის გაკლა და ათვისება, ჩემი ღრმა რწმენით, თვით X მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან სულ რამდენიმე გუნდს თუ ეტყობოდა).

ზემოთქმულთან დაკავშირებით ასეთი ამბავი გამახსენდა:

ცნობილი ფრანგი კინომსახიობი ჟან-პოლ ბელმონდო ახალგაზრდობაში კრივით იყო გატაცებული. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ მწვრთნელმა მას უთხრა: ისე გააფთრებით იქნევდი ხელებს მეტოქის წინ, რომ, მას, ალბათ, მალე საავადმყოფოში წაიყვანენ — ფილტვების ანთება არ ასცდებაო.

რარიგ პარადოქსულადაც უნდა ეღერდეს, სწორედ ტოტალურ ფეხბურთშია აუცილებელი რაციონალიზმი, ეკონომიური თამაში... თორემ, მოკრივე ბელმონდოსი არ იყოს, ზოგიერთი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატში, აჭაოდა ტოტალურ ფეხბურთს ვთამაშობო, თაკისი ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის უკმარობის ანაზღაურებას გადამეტებული გადაადგილებებით, ფუსფუსითა და სტენიური მოძრაობით, თავაწყვეტილი სირბილით ცდილობდა. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან მატჩის შემდეგ ჰოლანდიის ეროვნული ტუნდის კაპიტანმა კრუიფმა თქვა:

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები ჩამოგვრჩებოდნენ ტაქტიკაში და ტექნიკაში. ერთადერთი, რაშიც ტოლი არ დაგვიდეს, მინდორზე გადაადგილება იყო.

თავისთავად ცხადია, ტოტალური ფეხბურთი მოთამაშეთაგან წარმოუდგენლად დიდ ჯაფას მოითხოვს. მსოფლიო პირველობის დროს იმავე კრუიფს ჰკითხეს, იოლებით თუ არა თამაშობს დროსო? მან ასე უპასუხა:

— მატჩის შემდეგ ათ წუთს სკამზე ვზივარ და წელში ვერ ვსწორდები. ამხანაგები მეუბნებიან, ამ დროს მოხუცს ჰგავხარო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იბადება შეკითხვა: შეუძლიათ თუ არა საკლუბო გუნდებს მთელი თავიანთი ეროვნული ჩემპიონატის მანძილზე ტოტალური ფეხბურთის თამაში? ჩემი აზრით, სწორედ ამ უაღრესად რთული და მრავალწახნაგოვანი საკითხის გადაწყვეტაში გამოჩნდება გუნდის ხელმძღვანელობისა და თავად მოთამაშეების მთელი სიბრძნე თუ უუნარობა. არსებული ძალების, ობიექტური შესაძლებლობების მისადაგება ყოვლისმომცველი ფეხბურთისადმი — აი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი ამ, ვიმეორებ, უაღრესად რთული და მრავალწახნაგოვანი პრობლემის გადასაჭრელად.

ერთი რამ კი უდავოა: X მსოფლიო ჩემპიონატის სტადიონებზე გაჩაღებულმა ტოტალურმა ფეხბურთმა ბევრ გუნდს, ბევრ ფეხბურთელს გააცალა სიტა. ამის მაგალითი ბევრია: მიუნჰენის „ბაიერნმა", რომლის რიგებშიც თამაშობენ ბეკენბაუერი, მიულერი და სხვა საუცხოო ფეხბურთელები (მათ თავი არ დაუზოგავთ არც ერთ შეხვედრაში), მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ოთხი მატჩი წააგო ეროვნულ ჩემპიონატში (აქედან — სამი ზედიზედ), რაც უპრეცედენტო ამბავია ამ დიდებული გუნდის ისტორიაში; გდრ-ის ნაკრებმა — დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე ტოტალური ფეხბურთის ამ ერთ-ერთმა უერთგულესმა მიმდევარმა, მსოფლიო პირველობის შემდეგ ვერ შეძლო ისლანდიის სუსტი გუნდის დამარცხება; X ჩემპიონატის მესამე პრიზიორი — ასევე ტოტალური ფეხბურთის უდალატო რაინდი, პოლონეთის ეროვნული გუნდი უღიმღამოდ გამოვიდა ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებში (1:3 — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, 0:2 — საფრანგეთთან).

ალბათ დამეთანხმებით: X მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ტოტალური ფეხბურთის შემსრულებელი გუნდებისა თუ ცალკეული ფეხბურთელების თამაშში აშკარად შეიმჩნეოდა ერთგვარი დეპრესია, როგორც ფიზიკური, ისე მორალური.

და აი, აქ გვსურს ერთი მოსაზრება გაგიზიაროთ. ძნელი საფიქრებელია, რომ, მაგალითად, კრუიფი „აიაქსის" რიგებში და ამჟამად „ბარსელონის" შემადგენლობაში თამაშის დროს თავისი ძალის მაქსიმუმს ახმარდა და ახმარს ყოველ მატჩს. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ სხვა ფეხბურთელზე. ამის დამადასტურებელია ჰოლანდია — ფინეთის ამასწინანდელი შესარჩევი მატჩი ევროპის პირველობაზე, როცა X მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორებმა საკმაოდ მშვიდად, საშუალო ტემპით, იოლად დაამარცხეს მეტოქე.

... იყო თუ არა უწინ ტოტალური ფეხბურთი? არა მგონია. ფეხბურთი, როგორც ყველა დარგი, ვითარდება, წინ მიდის, ერთგვარ სახეცვლილებას განიცდის. ტოტალური ფეხბურთი 70-ანი წლების პირმშოა. მაგრამ აბა ვის მოუვა აზრად ძველი ფეხბურთის, ამ ჭეშმარიტად სახალხო თამაშის უწინდელი სისტემების უარყოფა? ტოტალური ფეხბურთი დღეს პროგრესული მოვლენაა, ისევე, როგორც ერთ დროს ასევე პროგრესული იყო განლაგება ხუთი ნახევარზე, „დუბლ-ვე", ბრაზილიური სქემა...

ღმერთო შეგცოდე, დღესაც გვხვდებიან ადამიანები, ვისაც ძველი ფეხბურთის მშვენიერება უფრო მიმზიდველი ეჩვენებათ... ზოგი ჯიუტად იცავს „ძველ ფეხბურთს" და დღევანდელისა არაფერი სწამს. ზოგიც, უბრალოდ, სიტყვა „ძველის", „უწინდელის" რომანტიკულ ბურუსს დაუბრმავებია და დღევანდელ ფეხბურთს ვერცა ხედავს. ამასთან დაკავშირებით შემოხვევით ყურმოკრული ერთი დიალოგი მახსენდება:

— გახსოვს, ლიფტში რომ გავიჩხირეთ...

— ეჰ, ის დრო ჯობდა!

რატომ?..

მ. კაკაბაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

მიუნჰენი — თბილისი.

• • •

✓ სურათზე: X მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მომენტი. შეტევაში გფრ-ის ნაკრების მცველი, ნახევარმცველი და თავდამსხმელი (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) პაულ ბრაიტნერია. მას ჰოლანდიელი ვიმ ვან ჰანეგემი უშლის, მარჯვნივ კი მასპინძელი ბერნდ ჰოლცენბაინი დგას.

ტ. პრაუმოვსკის (ვარშავა) ფოტო.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

• •

კარპოვი — კორჩნოი 3:2 (16 ყაიმი)

მოსკოვი, 11 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის XXI პარტია, რომელიც დღეს შედგა, კორჩნოის გამარჯვებით დამთავრდა 19 სვლაში. როგორ მოხდა ეს?

ახალინდური დაცვით დაწყებულ პარტიაში თამაში თავიდანვე გატაკეპნილი გზით მიმდინარეობდა. თავის მე-11 სვლას კორჩნოიმ ახალი აზრი ჩააჭსოვა, როცა კარპოვის მეფეს შენიღბული კომბინაციური მუქარა შეუქმნა. როგორც ჩანს, კარპოვმა მუქარას ალღო ვერ აუღო და კორჩნოიმ განზრახვა სინამდვილად აქცია. მხედრის შეწირვით მან სასიფათოდ შეუტია. კარპოვს არ შეეძლო [illegible] ... 14. ... ლ:g6+ მფg8 15. ლ:g6+ მფh8 16. ლh6+ მფg8 17. კe4 შემდეგ კორჩნოი მაინც იგებდა. კარპოვმა ლაზიერი გაიმეტა ორ ფიგურაში, მაგრამ ხსნა უკვე აღარ იყო.

კარპოვის მოულოდნელმა წაგებამ მატჩი ძალიან დაძაბა. 13 ნოემბერს გაიმართება XXII პარტია. ვფიქრობთ, აქ გამოჩნდება, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ის შეხედულება, თითქოს კარპოვი წაგებას ადვილად ივიწყებს.

გთავაზობთ XXI პარტიას.

კორჩნოი — კარპოვი

ახალინდური დაცვა

1. d4 მf6 2. მf3 e6 3. g3 b6 4. კg2 კb7 5. c4 კe7 6. მc3 0—0 7. ლc2 c5 8. d5 ed 9. მg5 მc6 10. მ:d5 g6 11. ლd2 მ:d5 12. კ:d5 ეb8 13. მ:h7! ეe8 14. ლh6 მe5 15. მg5 კ:g5 16. კ:g5 ლ:g5 17. ლ:g5 კ:d5 18. 0—0 კ:c4 19. f4. კარპოვი დანებდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

12 ქულა 12-დან!

სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა გაზეთ „იზვესტიის" პრიზის გათამაშებაში დამთავრა ფინეთის ეროვნულ გუნდთან შეხვედრების ციკლი — ექვსივე მატჩი ითამაშა. ამ დღეებში საბჭოთა და ფინელი ჰოკეისტები ფინეთის ქალაქებში ეთამაშნენ ერთმანეთს.

პირველი მატჩი 7 ნოემბერს გაიმართა რაუმაში. სტუმრები შედარებით იოლად გაუმკლავდნენ მასპინძლებს — 7:2 (3:0, 3:1, 1:1).

მეორე შეხვედრა 8 ნოემბერს ტამპერეში მოეწყო. ამჯერად საბჭოთა ნაკრებში ვ. პეტროვის სამეული და მეკარე ვ. ტრეტიაკი ისვენებდნენ. გამარჯვება ისევ საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიპოვეს. შეხვედრის ანგარიშია 5:2 (3:2, 0:0, 2:0).

10 ნოემბერს ჰელსინკში გუნდები მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა — 5:3 (2:1, 3:0, 0:2).

ამრიგად, „იზვესტიის" პრიზის გათამაშებას ლიდერობს საბჭოთა ნაკრები, რომელსაც თავის მოედანზე და ფინეთის ყინულზე გამართული ექვსი მატჩის შემდეგ 12 ქულა აქვს.

II ადგილზეა შვეიცარიის ნაკრები. 3 თამაშის შემდეგ მას 5 ქულა დაუგროვდა. III ადგილი უკავია ფინეთის ეროვნულ გუნდს — 9 თამაშის შემდეგ მხოლოდ 1 ქულა.

გუშინ ბრძოლაში ჩაება ჩეხოსლოვაკიის ნაკრები.



◆ ბელგრადი, 12 ნოემბერი. საბჭოთა მოჭადრაკე ვაქებმა ანგარიშით 19,5:16,5 მოუგეს აქ გამართული ტრადიციული მატჩი იუგოსლავიის გუნდს. სსრ კავშირის ნაკრებში საუკეთესო შედეგი მოიპოვეს ვაჰანიანმა და გუფელდმა, რომლებმაც 4-4 ქულა მოაგროვეს 6-დან. ტალს აქვს 3,5 ქულა, პოლუგაევსკის — 3, სუეტინსა და პალატნიკს — 2,5-2,5. ბოლო, VI ტურში საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 3,5:2,5. სუეტინმა მოუგო მატანოვიჩს, ვაჰანიანმა — რაიჩევიჩს, ივკოვმა — პალატნიკს. ყაიმით დამთავრდა პარტიები: გლიგორიჩი — ტალი, ღიუბოევიჩი — პოლუგაევსკი, გუფელდი — მატულოვიჩი.

ვ. ... — „ბაკუს არ შეეძლო [illegible] ... ვინაიდან [illegible] 14. ... ლ:g6+ მფg8 15. ლ:g6+ მფh8 16. ლh6+ მფg8 17. კe4 შემდეგ კორჩნოი მაინც იგებდა. კარპოვმა ლაზიერი გაიმეტა ორ ფიგურაში, მაგრამ ხსნა უკვე აღარ იყო.

კარპოვის მოულოდნელმა წაგებამ მატჩი ძალიან დაძაბა. 13 ნოემბერს გაიმართება XXII პარტია. ვფიქრობთ, აქ გამოჩნდება, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ის შეხედულება, თითქოს კარპოვი წაგებას ადვილად ივიწყებს.

გთავაზობთ XXI პარტიას.

კორჩნოი — კარპოვი

ახალინდური დაცვა

1. d4 მf6 2. მf3 e6 3. g3 b6 4. კg2 კb7 5. c4 კe7 6. მc3 0—0 7. ლc2 c5 8. d5 ed 9. მg5 მc6 10. მ:d5 g6 11. ლd2 მ:d5 12. კ:d5 ეb8 13. მ:h7! ეe8 14. ლh6 მe5 15. მg5 კ:g5 16. კ:g5 ლ:g5 17. ლ:g5 კ:d5 18. 0—0 კ:c4 19. f4. კარპოვი დანებდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. **13 ნოემბერი.** საქართველოს ჩემპიონატი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი). დასაწყისი 16 ს.

ტენიის სროლა. ავჭალის სასროლეთი. **13-17 ნოემბერი.** საქართველოს ჩემპიონატი ოლიმპიურ სახეობებში. დასაწყისი 10 ს.

აფრენობა. თბილისის ზღვა. **13-19 ნოემბერი.** თბილისის VI სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 11 ს.

თბილისის ტექნიკუმების სპარტაკიადა

ხელბურთი. 13-19 ნოემბერი. კიროვის სახელობის პარკი (ლენინის ქ. № 37).

ქართული ჭიდაობა. 13-15 ნოემბერი. სპორტნაგებობათა სამმართველოს დარბაზი (ორჯონიკიძის ქ. № 37).

კალათბურთი. 14-22 ნოემბერი. ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დარბაზი (ტელმანის ქ. № 8).

მძლეოსნობა. 15-19 ნოემბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი.

ტანვარჯიში. 16-17 ნოემბერი. სპორტნაგებობათა სამმართველოს დარბაზი (სტალინის სახელობის სანაპირო № 8).

ცურვა. 17-18 ნოემბერი. „შრომითი რეზერვების" აუზი (ოქტომბრის ქ. № 134).

ფრენბურთი. 28-30 ნოემბერი. ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დარბაზი.

შეჯიბრებების დასაწყისი 12 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.